AB5

რეკონსტრუქცია
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქალაქი თბილისი, ლაღიძის ქ. №12

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ს. გასვიანი

დაამუშავა: ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2022წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი /A-4/;

ბ/--კალენდარული გეგმა /A-3/;

გ/--გრაფიკული ნაწილი /A-3/:
ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლაღიძის ქ№12-ში, ს/კ 01.15.05.005.026. ტერიტორიის რელიეფი ქანობიანია. ტერიტორიაზე არსებობს შენობა რომელიც არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. საპროექტო გადაწყვეტილებით რჩება შენობის კონფიგურაცია და მტკვრის მხარეს აგურის ფასადი ბოლო დამწვარი სართულის გარდა. საპროექტო ობიექტი გადაწყვეტილია მონოლითურ რკირკინაბეტონის ვარიანტში. სახურავი იქნება ბრტყელი. შენობის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლიდური ფილა და 0.6მ დიამეტრის ხიმინჯების ერთობლიობა. სარდაფის კედლები იქნება მონოლითური რკინაბეტონის. 0.00 შეესაბამება 413.00მ-ს.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

N	მაჩვენებელი	სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის მაჩვენებელი	საპროექტო შენობა-ნაგებობის მაჩვენებელი
1	მიწის ნაკვეთის ფართობი, მ^2	3031.00	3031.00
2	საერთო ფართობი, მ^2	3282.00	9026.50
3	კომერციული ფართობი, მ^2	3129.75	1067.65
4	ავტოსადგომის ფართობი, მ^2	-	1262.75
5	სამშენებლო მოცულობა, მ^3	16503.20	33795.90
6	შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე, მ	15.56	24.60

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი სგე:

--I სგე – კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2);

--II სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3);

--III სგე – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4).

სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ. 481 პ.6-ის T=13.00თვე. გვ 477 პ 16-ის მიხედვით T=13.00+0.50 x 10.67=18.53 გვ 477 პ 19-ის და გვ 483 პ 12-ის მიხედვით T=18.53+0.50 x 11.00=24.00 თვე გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=24.00+7.00=31.00 თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით **T=31.00x1.15=36.00 თვე**, სადაც 2.00 თვე----მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:

--დროებითი ღობის მოწყობა და ნაწილობრივად საფარიანი /იხილე ნახაზი მო-1/;
--დროებითი "ნაგებობების" განლაგება უსაფრთხო ადგილზე;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

4 . გრუნტის დამუშავება მოხდეს ექსკავატორით და ხელით ქვაბულის კედლის გამაგრებით. ქვაბულის ფერდის და მომიჯნავე შენობების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია ბურღვით ნატენი ხიმინჯების "ფარდა". დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

--ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს;
--კენჭნარი (ფენა 2) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას II ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით დამუშავებისას – III ჯგუფს;
--ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს.

დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირტული და გატანილი. გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

დამუშავების სიღრმე **1.5მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:0.67;
--კენჭნარი 1:0.50

დამუშავების სიღრმე **3.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1;
--კენჭნარი 1:1

დამუშავების სიღრმე **5.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1.25;

--კენჭნარი 1:1

ფენა№3-ის დამუშავება მოხდეს წინასწარი გაფხვიერებით.

სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტდეს არსებული ქსელების ადგილმდებარეობა.

5. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ბეტონის ტუმბოს და საავტომობილო ამწის საშუალებით. ბეტონის ტუმბოს და ამწის "დგომა" მოხდება სამშენებლო მოედანზე. უსაფრთხოების თვალსაზრისით გაკეთდეს ბადიანი საფარები იატაკის დონეზე.

სამუშაოების განხორციელების რიგები და ეტაპები:

პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------**-----60 დღე;**

--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება------**15 დღე.**

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაგრებით, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე-----**180 დღე;**

--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**270 დღე;**

--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**180 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**90 დღე;**

--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**90 დღე;**

--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**150 დღე;**

--მეათე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**30 დღე.**

6 **უსაფრთხოების ტექნიკა**

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

8 წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1 მოცულობა----------160.00მ³/სთ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 შვერა----------48.10მ
4 შლანგის სიგრძე----------4.00მ
5 მანქანის სიგრძე----------13.60მ
6 დგარების შორის მანძილი----------10.20მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!



პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო შენობა
- -დარჩენილი კედელი
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -დროებითი საფარიანი ღობე

ექსპლიკაცია

1 საპროექტო შენობა
2 დარჩენილი კედელი
3 დროებითი ღია სასაწყობო და საარმატურო
4 ბეტონის ტუმბო
5 დროებითი ბიოტუალეტი
6 დროებითი დახურული საწყობი
7 დროებითი კვების "ოთახი"
8 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
9 დროებითი საყარაულო
10 დროებითი ღობე
11 დროებითი ჭიშკარი
12 დროებითი საფარიანი ღობე

შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ.პ.ს. ეი ბი 5, ავთო ვარაზის 105, 0186 თბილისი

დირექტორი:	დ. ლოსაბერიძე
არქიტექტორი:	ს. გასვიანი
დაამუშავა:	ბ. გოგოლაური

პროექტის სახელწოდება:
რეკონსტრუქცია
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქალაქი თბილისი, ლაღიძის ქ. №12
მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

ნახაზი:
სამშენებლო გენგეგმა

ფურცელი: მო-1
მასშტაბი: 1:500 ფორმატი: A3
23.12.2022



შენიშვნა: ბეტონის ტუმბოს მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შპს. ეი ბი 5, ავთო ვარაზის 105, 0186 თბილისი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ს. გასვიანი

დაამუშავა: ბ. გოგოლაური

პროექტის სახელწოდება:
რეკონსტრუქცია
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქალაქი თბილისი, ლადიძის ქ. №12
მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

ნახაზი:
სამონტაჟო სქემა
ფურცელი: მო-2
მასშტაბი: 1:300 ფორმატი: A3
23.12.2022

ՀԱՍՏԱՏՎԱԾ՝ _____ / Հ. ՍՐԲՈՒՄՅԱՆ /

ՀԱՇՎԱՊԱՀ՝ _____ / Ա. ԱՂԱՋԱՆՅԱՆ /

ՀԱՄԱՁԱՅՆԱԳՐՈՎ ՇԻՆԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ ՀԱՍՏԱՏՎԱԾ ԺԱՄԱՆԱԿԱՑՈՒՅՑԱՅԻՆ ԳՐԱՖԻԿ

№	Աշխատանքների անվանումը և ծավալները	Տևողությունը, օր	Օրեր
	ՀՀՇՀՀ-ական պահանջներին համապատասխան ճանապարհների կառուցման աշխատանքների կազմակերպման նախագծի մշակում	90	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36
	Ճանապարհների կառուցման աշխատանքների կազմակերպման նախագծի հաստատում		
I	Նախագծանախահաշվային փաստաթղթերի մշակում	60	
II	Ճանապարհների կառուցման նյութատեխնիկական ռեսուրսների ձեռքբերում	15	
	Ճանապարհային պատրաստական աշխատանքներ		
	Ճանապարհների կառուցման հիմնական աշխատանքներ		
III	Ճանապարհների կառուցման ընդհանուր ծավալների կատարում	180	
	Ճանապարհների կառուցման ժամանակ ջրային արգելքների հաղթահարում		
	Ճանապարհների կառուցման ժամանակ բնական և տեխնածին վթարների կանխարգելում		
	Ճանապարհների կառուցման ընթացքում շրջակա միջավայրի պահպանության միջոցառումներ		
IV	Ճանապարհների կառուցման ընթացքում աշխատանքների անվտանգության միջոցառումներ		
	Ճանապարհների կառուցման ընթացքում հրդեհային անվտանգության միջոցառումներ		
	Ճանապարհների կառուցման ընթացքում բնապահպանական միջոցառումներ		
V	Ճանապարհների կառուցման ընթացքում ոչ ճանապարհային շինարարություն	90	
VI	Ավարտական ժամանակահատվածի աշխատանքներ	180	
VII	Ճանապարհների կառուցման ռեսուրսների նախահաշվային հաշվարկներ	90	
	Նախագծանախահաշվային փաստաթղթերի ներկայացում		
VIII	Ճանապարհների կառուցման ընթացքում ավարտական աշխատանքներ	90	
IX	Ճանապարհների կառուցման ավարտական աշխատանքներ	150	
X	Ճանապարհների ընդհանուր բնութագրեր	30	

1/ ԱՇԽԱՏԱՆՔԱՅԻՆ ՕՐԵՐ 36.0 ՕՐ